მიგრაცია რუსეთიდან 2022-2023: ტენდენციები, ადაპტაცია, ურთიერთობები

კატია ჩიგალეიჩიკი [1]

1. შესავალი

რამდენიმე ათწლეულის მანძილზე საქართველო და სომხეთი იმ ქვეყნებად რჩებოდნენ, საიდანაც მოსახლეობა გაედინებოდა: პოსტსაბჭოთა წლებში ბევრმა ადამიანმა დატოვა რეგიონი სამხედრო კონფლიქტების, სტიქიური უბედურებების და ეკონომიკური პრობლემების გამო. მათ დიდ ნაწილს აქვს სეზონური შრომითი მიგრაციის გამოცდილება, უმეტესწილად – რუსეთში. [1] რუსების მასიური ჩამოსვლა უკრაინაში რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ შოკისმომგვრელი მოვლენა აღმოჩნდა როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ასევე, თავად მიგრანტებისთვისაც. ისინიც კი, ვინც რუსეთში "პოლიტიკის მიღმა" არ იყვნენ, სრულმასშტაბიან შეჭრას არ ელოდნენ. მიგრანტების ინტერვიუებში, რომლებიც 2022 წლის გაზაფხულზე ჩავწერეთ, ძირითადად ჭარბობს ბრაზი, შიში, დეპრესია და დაბნეულობა. ყველაზე მეტი უცხოელი თბილისსა და ბათუმში ცხოვრობს, ბოლო წლებში კი საქართველო რუსი და ბელარუსი პოლიტიკური მიგრანტების მიზიდულობის ცენტრად იქცა. [2]

მიგრაციის ამ ტალღის მასშტაბის შეფასებას სხვადასხვა მკვლევარი ცდილობს. თუმცა, დროის ერთ მონაკვეთში ჩასულთა რაოდენობის სწორად გამოთვლა ძალიან რთულია (migration stock): მიგრაციის პირველ წელს ადამიანების უმეტესობა საქართველოდან სომხეთში გადადიოდა და უკან ბრუნდებოდა, ბევრი რამდენჯერმე წავიდა რუსეთში, მიდიოდნენ ისრაელში რეპატრიაციის პროცედურის გასავლელად, იღებდნენ ევროკავშირის ან აშშ-ს ვიზებს – ინდივიდუალური ტრაექტორიების ბევრნაირი ვარიანტი არსებობს. მობილობის მაღალი ხარისხი ასევე ხსნის არა მხოლოდ საქართველოში მუდმივად მცხოვრები მიგრანტების რაოდენობის, არამედ საქართველოსა და სხვა ქვეყნებს შორის მოგზაურობის (migration flow) დათვლის სირთულესაც. სტატისტიკური მეთოდების მუშაობას აფერხებს არა მხოლოდ მობილობის ასეთი მაღალი დონე, არამედ ტურისტული ნაკადის მიგრაციული ნაკადისგან გამიჯვნის შეუძლებლობაც.

---

[1] *ავტორი დამოუკიდებელი კვლევითი ჯგუფის, Exodus-22-ის წევრია. ჩვენ ვიყენებთ ამ კვლევითი პროექტის მონაცემებს, მათ შორის – დასკვნებსა და ციტატებს. ჯგუფის წევრები არიან რუსები, რომლებმაც ქვეყანა დატოვეს 2022 წლის ზამთრის ბოლოს და გაზაფხულის დასაწყისში. კვლევაში ასევე მონაწილეობდნენ რუსები, რომლებიც საქართველოსა და სომხეთში 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ ჩამოვიდნენ. გამოყენებული იქნა რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების კომბინაცია: ორი ონლაინ გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის მარტსა და მაისში და 2022 წლის ნოემბრიდან 2023 წლის იანვრამდე. ასევე 2022-2023 წლებში ჩატარდა 50-ზე მეტი სიღრმისეული ინტერვიუ.* https://exodus22team.wordpress.com/

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, 2022 წლის 3 ოქტომბრის მდგომარეობით საქართველოში რუსეთის 112 ათასამდე მოქალაქე იმყოფებოდა. [3] ეს ძალიან დიდი რიცხვია ქვეყნისთვის, რომლის მოსახლეობაც 3,7 მილიონია. სხვა შეფასებით, საქართველოში 60 ათასი რუსი ჩამოვიდა და დარჩა.[4] მკვლევართა უმეტესობა თანხმდება, რომ საქართველოში ემიგრაციის პიკი – 100 000 ადამიანი 2022 წლის ბოლოსა და 2023 წლის დასაწყისში დაფიქსირდა.[5] ამის შემდეგ უკვე გადინების ტენდენცია დაიწყო. როგორც ჩანს, ათიათასობით რუსმა დატოვა საქართველო, რასაც თვითონ მიგრანტების სუბიექტური აღქმებიც ადასტურებს. მიუხედავად იმისა, რომ რუსების რაღაც ნაწილი საქართველოში რუსეთიდან, ყაზახეთიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან ჩამოდის, სხვები გადიან – ზოგი რუსეთში მიდის სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგი მიემგზავრება ევროპის, ამერიკის, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში ან ისრაელში ბრუნდება და ა.შ. [6] ვვარაუდობთ, რომ მიგრანტების გადინების ტენდენცია გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაგრძელდება, მაგრამ მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგ წლებში მაინც დარჩება საქართველოში.

1.1 2022 წლის მიგრაციის „ტალღები“

სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ, რუსეთიდან მიგრაციის ორი დიდი ტალღა წამოვიდა: შეჭრის დაწყებისთანავე და 2022 წლის სექტემბერში „ნაწილობრივი მობილიზაციის“ გამოცხადების შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ სექტემბრის მოვლენების შემდეგ ბევრი მოსაზრება და ხუმრობა გავრცელდა მიგრაციის ორ ტალღას შორის ხარისხობრივ განსხვავებაზე („თებერვლისა“ და „სექტემბრის“ ტალღები, რომლებიც ფართოდ განიხილებოდა მედიაში) [7], კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ მიგრაციის ე. წ. „ორი ტალღა“ ერთი პროცესის ნაწილებია. ეს პროცესი განსხვავებული აქტივობით, მაგრამ განუწყვეტლივ მიმდინარეობს სრულმასშტაბიანი აგრესიის დაწყების დღიდან და ნაწილობრივ იმეორებს მიგრაციის ომამდელ ტენდენციებს: ახალგაზრდა და საშუალო ასაკი, განათლების მაღალი დონე, ლიბერალური შეხედულებები, დემოკრატიულ ქვეყნებში ცხოვრების სურვილი, კრიტიკული შეხედულებები რუსეთის ხელისუფლების მიმართ და პოლიტიკური ფაქტორის დიდი მნიშვნელობა. [8] [9]

მიგრანტების აბსოლუტური უმრავლესობა ორი დიდი ქალაქიდან – მოსკოვიდან (48% შემოდგომაზე, 49% გაზაფხულზე) და სანქტ-პეტერბურგიდან (24% შემოდგომაზე, 26% გაზაფხულზე) ჩამოვიდა. კვლევის ორივე ტალღის საშუალო ასაკი 32 წელია, მაღალია IT სპეციალისტების (45% გაზაფხულზე და 40% შემოდგომაზე) და სხვა პროფესიონალების (მასწავლებლები, დიზაინერები, ჟურნალისტები, მეცნიერები და ა.შ.) წილი.

წამოსულთა უმრავლესობას დანაზოგი ჰქონდა: „გაზაფხულის“ ემიგრანტების 31.6% და „შემოდგომის“ ემიგრანტთა 42.2% თვლიდა, რომ დანაზოგი ექვსი ან მეტი თვე ეყოფოდათ. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება გენდერულ ჭრილში გამოიკვეთა: თუ 2022 წლის გაზაფხულზე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო,

შემოდგომაზე მიგრაციის ტალღის ორ მესამედს მამაკაცები შეადგენდნენ. ეს იმით აიხსნება, რომ შემოდგომაზე მთავარი მიზეზი მობილიზაციის შიში და ომში მონაწილეობისგან თავის დაღწევის სურვილი იყო. გამოკითხულთა შორის იყვნენ ასევე სამედიცინო სპეციალობის მქონე ქალები, რომლებსაც ასევე ეშინოდათ მობილიზაციის და იმათთვის საზღვრების ჩაკეტვის, ვინც შეიძლებოდა გაწვევას დაქვემდებარებოდა.

კიდევ ერთი ცვლილება ეხება გამგზავრების დაგეგმვას: შემოდგომაზე რესპონდენტთა უფრო დიდმა რაოდენობამ (26.6%) განსაზღვრა ემიგრაცია, როგორც „დაგეგმილი“ და „უფრო მეტად დაგეგმილი“, გაზაფხულზე კი – მხოლოდ 13.9%-მა. ინტერვიუებზე დაყრდნობით ვივარაუდეთ, რომ მობილიზაციამ დააჩქარა მათი ემიგრაცია, ვისაც წამოსვლა ომის დაწყების შემდეგ ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა (ან ყოყმანობდა). ამის შესამოწმებლად, შემოდგომის კითხვარში ასევე ვიკითხეთ, 21 სექტემბრამდე ფიქრობდნენ თუ არა, რომ რუსეთს მალე დატოვებდნენ. პასუხები აჩვენებს, რომ რესპონდენტთა ორ მესამედზე მეტი ამაზე ფიქრობდა, რაც ჩვენს ვარაუდს ადასტურებს.



გამოკითხვა 2022 ნოემბერი- 2023 იანვარი. ინტერნეტ ანკეტა

1.2 რუსეთის დატოვების მიზეზები

გამოკითხვებში მიგრანტები რუსეთიდან გაქცევის ბევრ მიზეზზე მიუთითებენ (პოლიტიკური დევნის საფრთხე, ცენზურა, მძიმე ფსიქოლოგიური ვითარება, მობილიზაციის საფრთხე, პერსპექტივის არარსებობა – კონკრეტული ფორმულირება შეიძლება განსხვავდებოდეს ანკეტების მიხედვით). ზემოაღნიშნული ფორმულირებები შეიძლება მივაწეროთ რუსეთის შიდა ვითარების იმ შეფასებებს, რომლებიც ძირითადად პოლიტიკური პრეფერენციებისა და ღირებულებების მიხედვით ყალიბდება. ყველაზე

პოპულარულ პასუხებს შორის არის ერთი ექსკლუზიურად რაციონალურ-ეკონომიკური მიზეზი: „ქვეყანაში მუშაობის ტექნოლოგიური შეუძლებლობა“. ეს პასუხი, სხვათა შორის, აღნიშნეს IT კომპანიების იმ თანამშრომლებმა, რომლებიც დამსაქმებლის დახმარებით ან მოთხოვნით წამოვიდნენ, ანუ „რელოკანტებმა“, მაგრამ ისინი მიგრანტებისა ან თუნდაც IT სპეციალისტების უმრავლესობას არ შეადგენენ.

2022 წლის გაზაფხულის გამოკითხვაში ყველაზე გავრცელებული პასუხები იყო – „რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობა“, ხოლო 2022 წლის შემოდგომაზე ის, რომ „არ სურთ იცხოვრონ ქვეყანაში, რომელიც ომს აწარმოებს“. "გაზაფხულის ტალღის" თითქმის ყველა მიგრანტი მიუთითებდა, რომ განიცდიდა შოკს და იყო დათრგუნული, რადგან ქვეყანამ გადააბიჯა ზღვარს, რომელიც მანამდე წარმოუდგენელი ჩანდა. ბევრი აღწერს ელდას იმის გამო, რომ უამრავმა მათმა თანამოქალაქემ დაუჭირა მხარი საომარი მოქმედებების დაწყებას, ხოლო საზოგადოებრივი პროტესტი უმნიშვნელო იყო.

„ეს იყო სრული შოკი. და ერთადერთი რამ, რასაც ჩემი გადარჩენა შემეძლო, იყო ის, რომ ამ კოშმარს გავცლოდი, რადგან ადამიანები რაღაც სრულიად შეშლილ ტელევიზორის ზომბებად იქცნენ. მე უბრალოდ არ შემეძლო ამ ყველაფრის გადატანა ფაშიზმით ასე დაავადებულ საზოგადოებაში. წავედი, ისევე, როგორც ბევრი. მაშინ მობილიზაციაზე არ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ქვეყანაში ასეთ საზოგადოებაში ყოფნა, ერთი მხრივ, აუტანელი იყო და მეორე მხრივ, მქონდა პრივილეგია – მარტივად შემეძლო ბილეთის ყიდვა ისე, რომ არც სამსახური დამეკარგა, არც ოჯახი, თითქმის არაფერი. დიდად არაფერი მაკავებდა.“ (m, 50)

„[მე მივხვდი] *რუსეთში თუ დავრჩებოდი, ჭკუიდან შევიშლებოდი... მთელი ეს სიბინძურე შენკენ მოიწევს, გაცოცდება, შემოდის შენში ყველა ხვრელიდან. გიხუჭავს თვალებს, გივსებს პირს, ცხვირს, არ გაძლევს საშუალებას ისუნთქო, დაინახო, უსმინო, გკლავს – არ ვიყავი მზად ამისთვის. უფრო მეტიც, რაღაც მომენტში მივხვდი, რომ ვხვდებოდი ადამიანებს, ახლობლებს – საკუთარ წრეში და უცნობებს, რომლებიც თვლიან, რომ ეს ყველაფერი ოკეია.“* (f, 27)

2022 წლის გაზაფხულზე ადამიანთა დიდმა ნაწილმა გადაწყვეტილება მიგრაციის შესახებ უკიდურესი იმედგაცრუებისა და პანიკის მდგომარეობაში მიიღო. 2022 წლის შემოდგომაზე, მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ მათ შეუერთდნენ ადამიანები, რომლებიც რუსეთში სხვადასხვა მიზეზის გამო რჩებოდნენ: ომის სწრაფი დასრულების იმედი, მოხალისეობა, მოხუც ნათესავებზე ზრუნვა, უცხო ენების არცოდნა, დანაზოგის არარსებობა, უცხოური პასპორტის ან სხვა საჭირო დოკუმენტების არქონა და ა.შ. შემოდგომაზე ჩამოსული ადამიანების ნაწილი გაზაფხულზე უკვე იყო ჩამოსული, მაგრამ დაბრუნდა რუსეთში გრძელვადიანი მიგრაციისთვის უკეთ მოსამზადებლად.

1.3 მიგრაციის მიმდინარე ტენდენციები

2023 წლის ბოლოსთვის რუსეთიდან საქართველოში მიგრაციის ინტენსივობა საგრძნობლად შემცირდა. გარდა ამისა, ბევრმა მიგრანტმა დატოვა საქართველო და წავიდა იმ ქვეყნებში, რომლებიც გრძელვადიანი მიგრაციისთვის აირჩია. გამოკითხვებში და ინტერვიუებში რესპონდენტთა მნიშვნელოვანი ნაწილი საქართველოს თავიდანვე მიიჩნევდა სატრანზიტო ქვეყნად ძირითად მიგრაციამდე, თუმცა, საქართველოდან წასვლის გადაწყვეტილებას ადამიანები, როგორც წესი, ქვეყანაში ცხოვრების გარკვეული გამოცდილების შემდეგ იღებდნენ. არსებობს მთელი რიგი მიზეზები, რომლებიც გავლენას ახდენს ამ გადაწყვეტილებაზე. ადამიანების გარკვეული ნაწილისთვის სხვა ქვეყნებში გადასვლა უკავშირდება ეკონომიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას, გრძელვადიანი ლეგალიზაციის შესაძლებლობას ან მესამე ქვეყნის მოქალაქეობის მიღებას. რაღაც ნაწილს აფიქრებს საქართველოში მათი მყიფე სამართლებრივი სტატუსი და პოლიტიკური ვითარების არასტაბილურობა..

ნეოლიბერალური რეფორმების შედეგად რუსებს შეუძლიათ საქართველოში თითქმის შეუზღუდავი დროით დარჩნენ, წელიწადში ერთხელ „ვიზარანო“ გააკეთონ და მარტივად დაარეგისტრირონ ბიზნესი ან განახორციელონ არაკომერციული პროექტები. ბევრი სხვა ქვეყნისგან განსხვავებით, საქართველოში ლეგალურად ყოფნისთვის პრაქტიკულად არ არის საჭირო რეგისტრაციის რთული პროცედურები. თუმცა, ამ სიმარტივეს მუდმივად მოაქვს იმედგაცრუება: საქართველოში ბინადრობის ნებართვის მოპოვება უკიდურესად რთულია და ამ სტატუსის მოპოვება არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საბაჟო ორგანო უარს არ იტყვის ქვეყანაში შემოშვებაზე ახსნა-განმარტების გარეშე. [10] მოულოდნელი უარი ქვეყანაში შემოსვლაზე მიგრანტებს მუდმივ სტრესში ამყოფებს. მიუხედავად იმისა, რომ სტატისტიკურად ამგვარი შემთხვევა არც ისე ბევრია, პრინციპი უცნობია. 2022 წელს და 2023 წლის დასაწყისში ფიქრობდნენ, რომ ეს უკავშირდებოდა ადამიანების მონაწილეობას ომის საწინააღმდეგო აქტივობებში, უცხოელი აგენტის სტატუსს, ზოგიერთ რუსულ არასამთავრობო ორგანიზაციაში მუშაობას ან ოპოზიციურ წრეებთან კავშირს. [11] თუმცა, საქართველოში არ შემოუშვეს ისინიც, ვინც ამ კრიტერიუმებში არ ექცეოდა. ამიტომ, საზღვრის ყველა გადაკვეთა ბევრის მიერ აღიქმება, როგორც თამაში, სადაც „ან გაგიმართლებს, ან – არა“. სწორედ პრინციპების გაუმჭვირვალობა და უარის თქმის მკაფიო კრიტერიუმების არარსებობა იქცა საყოველთაო შეშფოთების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად [11].

„ჩემი წრიდან ორმა ადამიანმა ვერ შეძლო საქართველოში ისევ შემოსვლა. საქართველოში იყვნენ, ბინების ქირავნობის ხელშეკრულება ჰქონდათ, რუსეთში ბიზნესის დასახურად გაფრინდნენ ერთი კვირით და უკან ვეღარ დაბრუნდნენ. მე ამის ძალიან მეშინია, რადგან არ ვიცი, სად წავიდე. “ (m, 43)

რუსების მიერ საქართველოს დატოვების ერთ-ერთი მიზეზი სტაბილური სამართლებრივი სტატუსის მოპოვების შეუძლებლობაა. ადამიანები ვერ იღებენ პასუხს ბინადრობის ნებართვაზე უარის ზუსტ მიზეზებზე, ასევე ხდება საზღვრის კვეთისას უარის მიღების

დროსაც. როგორც წესი, ბინადრობის ნებართვას იღებენ ისინი, ვისაც საქართველოში ჰყავთ ნათესავები, სტუდენტები, ასევე საჯარო სკოლის მოსწავლეები და მათი მშობლები. [12]

შიდა პოლიტიკის ნებისმიერი ხმაურიანი მოვლენა შეშფოთებას იწვევს მიგრაციის წესების შესაძლო გამკაცრებასთან დაკავშირებით – განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც საქართველოს ბევრი მოქალაქე არ მალავს თავის შეშფოთებას და გაღიზიანებას ქვეყანაში რუსების მიგრაციის მასიური მასშტაბის გამო.

„იმასთან შედარებით, რასაც მეუბნებოდნენ, თბილისში ყველაფერი გაცილებით უკეთესად დამხვდა. თუმცა, რუსულად ლაპარაკის მეშინია. მახსოვს, მაშინაც კი, როცა დედა მირეკავდა, ვცდილობდი ქუჩაში რუსულად არ მელაპარაკა (...) ყველგან ძალიან მახარებდა დროშები [იგულისხმება უკრაინის დროშები. ინტერვიუერის შენიშვნა] თითქოს უსაფრთხოების განცდას მიქმნიდა. მართლა გაცილებით უსაფრთხოდ ვგრძნობდი თავს, ვიდრე ოდესმე რუსეთში. მაგრამ ამასთან ერთად მქონდა უცნაური განცდა, თითქოს ირგვლივ ყველას ვძულდი. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი აქ ყოფნის დროს, ოთხ თვეზე მეტი გამოდის, საქართველოში არ ყოფილა დისკრიმინაციის ან არაკეთილსინდისიერი ქცევის შემთხვევა ჩემი მისამართით.“(m, 25)

მიგრაციის მიმართულებები სხვადასხვაგვარია: ესაა ევროკავშირის, ბალკანეთის ნახევარკუნძულის და ლათინური ამერიკის ქვეყნები; ბევრი გაემგზავრა სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაშიც. დროის სვლასთან ერთად იზრდება პესიმისტური განწყობები რუსეთში პოზიტიური ცვლილებების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. OutRush-ის კვლევის მიხედვით, 2022 წლის სექტემბერში მიგრანტთა მხოლოდ 7%-მა გამოთქვა მოლოდინი, რომ რუსეთში ვითარება გაუმჯობესდებოდა. [14] ინტერვიუებიდან და საუბრებიდან ამის რამდენიმე ძირითადი მიზეზი იკვეთება: სრული უიმედობა ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების მიმართ – ბევრი ახსენებს უძლურების განცდას იმის გამო, რომ არ შეუძლია ხელი შეუწყოს რაიმე ცვლილებას. ეს გრძნობა ბევრ რესპონდენტს სრულმასშტაბიან შეჭრამდეც ჰქონდა, ბევრს – დიდი ხნით ადრეც. საზოგადოებაში არსებობს ძლიერი და მასშტაბური ომისშემდგომი სინდრომის მოლოდინი მებრძოლების ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ (მცირე მასშტაბით ეს უკვე გამოჩნდა ვაგნერის მებრძოლების მხრიდან ძალადობრივი ქმედებებით). ასევე თვალშისაცემია საზოგადოების გახლეჩის სიმძიმე ომის მხარდაჭერებად და მოწინააღმდეგეებად. ბევრი გვეუბნება, რომ ვერ შეძლებენ იცხოვრონ იმ ადამიანებთან ერთად, რომლებიც მხარს უჭერდნენ არა მხოლოდ პუტინს, არამედ სამხედრო მოქმედებებს.

„ომამდე გვქონდა იმის იმედი, რომ შევძლებდით, ხალხი შეძლებდა ხელისუფლების შეცვლას და ვიცხოვრებთ მომავლის რუსეთში, რომელზედაც ვოცნებობთ. მაგრამ 24-იდან (2022 წლის 24 თებერვალი - ინტერვიუერის შენიშვნა) სამწუხაროდ, მივხვდი, რომ მომავლის რუსეთი ჯერ კიდევ 21 წლის იანვარში დასრულდა, როცა ალექსეი ნავალნის განაჩენი გამოცხადდა. (...) ისიც ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ვიღაცებს პარასკევობით

უცხოელ აგენტებად აცხადებენ. და მაინც, იმედი გვქონდა. 24-ის შემდეგ კი – მორჩა. რაღაც ფარდა დაეშვა, თითქოს... გავაცნობიერეთ, რომ აღარაფერი შეიცვლება.“ (m, 27)

ვვარაუდობთ, რომ რუსების უმეტესობა, რომელთა ემიგრაციაც „წარმატებული“ გამოდგება (ანუ არ იქნებიან იძულებულნი პირადი გარემოებების გამო რუსეთში დაბრუნდნენ) გააგრძელებს ემიგრაციაში ცხოვრებას ომის დასრულების შემდეგაც, როგორც არ უნდა დასრულდეს ის. ბევრი საქართველოში დარჩება, თუკი რუსების ყოფნის პირობები არსებითად არ შეიცვლება. თუმცა, მიგრანტების რაღაც ნაწილი სხვა ქვეყნებსაც მიაშურებს, სავარაუდოა, რომ რაღაც „პოპულარული“ მიმართულებები კიდევ გაჩნდება.

2. პროფესიები, სამსახური და შრომითი ადაპტაცია

საქართველოში გადმოსვლისას ორივე გამოკითხვის შედეგად ცხადად გამოჩნდა ტოპ 3 გავრცელებული პროფესია მიგრანტებს შორის. ესაა IT სფერო, განათლება და კულტურა, არტი, დიზაინი. ლიდერობს IT სფერო – მისი წილი 45% იყო გაზაფხულზე 40% – შემოდგომაზე. ტოპ 3 მთელი რაოდენობის თითქმის 65%-ს შეადგენს.



ადაპტაციის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესოა, ახალჩამოსულთა რამდენ პროცენტს ჰქონდა მიგრაციის დროისთვის დისტანციური სამუშაო. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ გაზაფხულის ტალღის 65% და შემოდგომის ტალღის 70% უზრუნველყოფილი იყო დისტანციური სამსახურებით. ეს ნიშნავს, რომ მიგრანტების დაახლოებით მესამედს მოუწევდა სამუშაოს ძებნა. ამ პრობლემის მოგვარების ორი სტრატეგია გამოიკვეთა.

პირველი დისტანციური სამუშაოს ძიებაა: უკვე ნაცნობ სპეციალობაში ან სასწრაფოდ გადამზადება, რათა დისტანციურად მუშაობა შეძლონ.

„უნივერსიტეტში ვსწავლობდი და ვგეგმავდი ჩემს სპეციალობით– სოციოლოგია/ანთროპოლოგია, მუშაობას: ალბათ მაგისტრატურაში ჩავაბარებდი და მერე გამოყენებითი კვლევების მიმართულებით ვიმუშავებდი. მომიწია უნივერსიტეტის მიტოვება და დისტანციურად მუშაობის დაწყება b2b საბითუმო ვაჭრობაში სამედიცინო აღჭურვილობით. პარალელურად ვების განვითარებას ვსწავლობ.“(f, 23)

შემოდგომაზე ჩამოსულთა შორის გაცილებით ცოტაა ისეთი, ვისაც დისტანციურად მუშაობა შეუძლია (50,7% 64,9%-თან შედარებით).



შემოდგომის ტაღღა

გამოკითხვა 2022 ნოემბერი- 2023 იანვარი. ინტერნეტ ანკეტა

ბევრი მიგრანტის ჩამოსვლამ და შემოსავლის საიმედო წყაროს ძიებამ ჩვეული სოციალური კავშირების მიღმა სტიმული მისცა საქმიანობის სფეროს შესაცვლელად. ექიმები, სოციოლოგები, ჟურნალისტები, მუსიკოსები "გადავიდნენ IT-ში", მიიღეს დამატებითი განათლება ისეთ სპეციალობებში, როგორიცაა დეველოპერი, მონაცემთა ანალიტიკოსი, QA ტესტერი.

„როცა მოსკოვში სამსახური დავტოვე, ერთ-ერთი, რისი კეთებაც შემეძლო, მეცნიერების პოპულარიზაცია იყო. ეს ჯერ კიდევ მაშინ დავიწყე, როცა ინსტიტუტში ვმუშაობდი: ვწერდი პოპულარულ სამეცნიერო სტატიებს და ვკითხულობდი ლექციებს. როცა საქართველოში გადმოვედი, ეს საქმე აქაც გავაგრძელე (...). დროთა განმავლობაში დავიწყე

თბილისში სამეცნიერო-პოპულარული ლექციების კითხვა რუსულ ენაზე, ძირითადად ემიგრანტული აუდიტორიისთვის. ამის პარალელურად, ჩამოსვლიდან პირველივე კვირაში დავიწყე მონაცემთა ანალიზის კურსის დისტანციურად შესწავლა "Яндекс.Практикум"-ით. ეს იდეა ჩამოსვლამდეც მქონდა. თუმცა, მაინც ვყოყმანობდი, მაგრამ სრული გაურკვევლობის პირობებში, როცა წარმოდგენაც კი არ მქონდა, რა იქნებოდა შემდეგ, სად ვიცხოვრებდი და შემოსავლის რა წყარო მექნებოდა, გადავწყვიტე, ყოველი შემთხვევისთვის, თავი დამეზღვია, მიმეღო სპეციალობა, რომელიც მომცემდა შესაძლებლობას, დისტანციურად მქონოდა ანაზღაურებადი სამუშაო. გამიმართლა, რადგან გარკვეული სამეცნიერო ცოდნა უკვე მქონდა." (m, 32)

„მივხვდი, რომ ომის დაწყებასთან ერთად ყველაფერი დაინგრა. შვიდი წელი ვიკეთებდი კარიერას აკადემიაში, დავიცავი საკანდიდატო დისერტაცია, ვაწყობდი საერთაშორისო კონტაქტებს კოლეგებთან ევროპასა და ჩინეთში, ვცდილობდი, მქონოდა პუბლიკაციები საერთაშორისო ჟურნალებში. ომის დაწყებამ ეს ყველაფერი გააცამტვერა... გადავწყვიტე, მიმეტოვებინა აკადემია და სამსახური მეშოვა IT სფეროში. ჰო, ჟღერს როგორც კლიშე, მაგრამ დღეს ეს ერთადერთი შესაძლებლობაა დევნილობაში სიღარიბეში რომ არ ჩავარდე. მივხვდი, რომ დაახლოებით ერთ წელს გავიტანდი და ზამთარში დამჭირდებოდა ახალი უნარ-ჩვევები და ახალ სფეროში მუშაობა. (...) ახლა მე აქ ვიწყობ ცხოვრებას, ვმუშაობ IT სტარტაპში." (m, 35)

მათთვის, ვინც დისტანციურ სამუშაოს ეძებდა, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო შემოსავლის წყაროს პოვნა რუსეთის ფარგლებს გარეთ. ეთიკური მიზეზების გამო: „არ მინდა ჩემი გადასახადებით ომის დაფინანსება", ტექნიკური მიზეზების გამო: „რუსეთიდან ფულის სხვა ქვეყნებში გადარიცხვა მუდმივად რთულდება" და უსაფრთხოების მიზნით – „არ მინდა, ჩემი ქმედებით პრობლემები შეუქმნას კოლეგებს რუსეთში", „არ მინდა დამოკიდებული ვიყო რუბლის არასტაბილურ კურსზე". სხვებისთვის ეს აუცილებელი პირობა არ იყო.

მეორე სტრატეგია ოფლაინ სამსახურის ძებნაა. რუს ემიგრანტებს, რომლებმაც ან სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყების შემდეგ დატოვეს ქვეყანა, ან მანამდე რამდენიმე წლის წინ, ურთიერთნდობის ძალიან მაღალი დონე აქვთ (90%-ზე მეტი 2022-2023 წლებში ემიგრირებულებს შორის სხვადასხვა ქვეყანაში), რაც არ ყოფილა დამახასიათებელი წინა წლების რუსი ემიგრანტებისთვის. [15] ასევე, „მიგრანტები იზიდავენ მიგრანტებს", რაც შესამჩნევია, მაგალითად, ქვეყნის არჩევის დროს. ამ „ტალღის" მიგრანტები უპირველესად მეგობრების და ზოგადად, თანამემამულეების ქსელს ეყრდნობიან.

ამრიგად, მიგრანტების მუშაობა, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია რუსულენოვანი თემის მომსახურებაზე. საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა დისტანციურად კი არ მუშაობს, არამედ, სხვა მიგრანტების მიერ გახსნილ ორგანიზაციებსა და ბიზნესებში: კაფეებში, ბარებში, მაღაზიებში, სკოლებში, სახელოსნოებში და ა.შ. [16] ასევე ბევრია კერძო პრაქტიკის მაგალითიც: ვიზაჟისტები, რეპეტიტორები, იოგას ინსტრუქტორები,

მასაჟისტები და ა.შ. ამგვარი „ემიგრანტული ეკონომიკა“ დამახასიათებელია მიგრანტების დიდი კონცენტრაციის მქონე ადგილებისთვის.

კიდევ ერთი მოდელია სამუშაო ადგილის შენარჩუნება და ემიგრაცია, რომელიც ორგანიზებულია კომპანიის მიერ. ეს გულისხმობს შეჩვევას სხვა ოფისთან, ზოგ შემთხვევაში ხელფასს ადგილობრივ ვალუტაში და ა.შ. ზოგიერთი კომპანია გადასვლის შემდეგ პირველ თვეებში იხდის თანამშრომლების სასტუმროს, ცხოვრების და კვების თანხასაც. კომპანიების მასობრივმა გადაადგილებამ შექმნა „რელოკანტების“ ფენომენი, ეს მიგრანტების სოციალურად ყველაზე დაცული ჯგუფია. დაახლოებით ასეთივეა კიდევ ერთი ვარიანტი, რომელიც შემოსავლის იმავე წყაროს შენარჩუნების საშუალებას იძლევა, ესაა საკუთარი ბიზნესის გადატანა. 2022 წლიდან რუსების მიერ საქართველოში რეგისტრირებული კომპანიების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა: 2022 წლის მარტიდან ივნისის ჩათვლით საქართველოში 6400 რუსული კომპანია დარეგისტრირდა, რამდენჯერმე მეტი, ვიდრე მთელი 2021 წლის განმავლობაში.

საქართველოში სამსახურის შოვნის ალტერნატიული შესაძლებლობა თითქმის არ არის – უპირველეს ყოვლისა, ქვეყანაში არსებული უმუშევრობის გამო. ხელის შემშლელია ქართული ენის არცოდნა და სანაცნობო წრის არყოლა. ასევე ისიც, რომ არ იცი, რა შეიძლება გააკეთო, თან ადგილობრივებსაც არ სურთ რუსების სამსახურში აყვანა და არსებობს უარყოფის შიშიც.

კვლევამ აჩვენა მიგრანტების თემის არაერთგვაროვნება პროფესიისა და შემოსავლის დონის მიხედვით. ამასთანავე, მიგრაციის პირველ წელს ჩამოსულებმა აქტიურად ააშენეს ჰორიზონტალური კავშირები, შექმნეს დამხმარე ქსელები და ახლაც იყენებენ ამ სოციალურ კაპიტალს. მიგრანტები უამრავ საჭირო ინფორმაციას ტელეგრამის მრავალრიცხოვან ჩატებში პოულობენ, ორგანიზაციების მიერ შექმნილებში (მაგალითად, «Ковчега-ს ჩატები, ჩატები, ნიკოლაი ლევშიცის ტელეგრამის საინფორმაციო არხის ჩატი და ა.შ.), და ასევე, რამდენიმე მეგობრის მიერ წამოწყებულსა და მერე სტიქიურად გაზრდილ ჩატებში. ბევრი ადამიანი შემოქმედებითად უდგება შემოსავლის წყაროს ძიებას, რადიკალურად ცვლის საქმიანობის სფეროს და ხსნის საკუთარ ბიზნესს. ამ ბიზნესების დიდი ნაწილი ისევ მიგრანტების თემს ემსახურება.

3. სამოქალაქო აქტიურობა

რუსეთიდან **პოლიტიკური ემიგრაციის** სავარაუდო დასაწყისად შეიძლება 2012 წელი ჩაითვალოს, როცა მოძრაობა „სამართლიანი არჩევნებისთვის“ დამარცხდა და ვლადიმერ პუტინი ხელახლა აირჩიეს მესამე საპრეზიდენტო ვადით. მას შემდეგ პოლიტიკური ფაქტორი იზრდებოდა და 2022 წლისთვის ადამიანების დიდი რაოდენობისთვის მიგრაციის განმსაზღვრელ მიზეზად იქცა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მიგრანტები ძირითადად ხდებოდნენ სტუდენტები, სამოქალაქო აქტივისტები და ჟურნალისტები და ასევე, ზოგადად საშუალო კლასის წარმომადგენლები. [19]

2022-2023 წლებში მიგრანტების უმეტესობა რაღაც ფორმით მონაწილეობდა სამოქალაქო აქტივიზმში: კვლევითი ჯგუფის Outrush-ის მონაცემებით (2022 წლის მარტი) სხვადასხვა ქვეყანაში ემიგრირებული რუსი მიგრანტების 80% რუსეთიდან წასვლამდე მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში ან პერფორმანსებში, მოხალისეობდნენ აქციებზე დაზარალებულების დასახმარებლად, წერდნენ წერილებს პოლიტიკურ პატიმრებს, იბრძოდნენ ადამიანის უფლებების დასაცავად და ა. შ. [20] [21]

ემიგრაციაში სიტუაცია რადიკალურად იცვლება. ქმედებების ნაწილი ინარჩუნებს აქტუალურობას, ნაწილი კი, ინფორმანტების თქმით, ადრინდელ მნიშვნელობას კარგავს.

აქტივისტები ორმაგ სირთულეებს აწყდებიან: ერთი მხრივ, მათ აჩერებს შიში, რომ რუსეთში დარჩენილ ახლობლებს ავნებენ, მეორე მხრივ – განიცდიან იდენტობის კრიზისს, რადგან რუსეთს გარეთ აქტივიზმი რუსეთის ხელისუფლებისთვის, რომელსაც ის მიემართება, უხილავია და ამიტომ – უშედეგოც. მიუხედავად იმისა, რომ აგრძელებენ აქტივიზმს რაღაც ფორმით (როგორც ონლაინ, ისე ოფლაინ - მაგალითად, პერფორმანსებს), ბევრი აღიარებს, რომ არ არიან დარწმუნებულნი ამგვარი ქმედებების აუცილებლობაში და მოტივაციაც ეკარგებათ. [22]

აღსანიშნავია, რომ სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებისთანავე გაჩნდა აქტივიზმის ახალი ფორმა − ომის საწინააღმდეგო აქტივიზმი და ამას გარდა – მკვეთრად გაიზარდა ზეწოლა ყველა აქტივისტზე. OVD-info-ის შეფასებით, 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ რუსეთში თითქმის 20 000 ადამიანი დააკავეს ომის საწინააღმდეგო პოზიციის გამოხატვისთვის. [23] 2022 წლის გაზაფხულზე რუსეთმა მიიღო კანონები „არმიის შესახებ ფეიკების“ და „არმიის დისკრედიტაციის“ შესახებ, რომლებიც გულისხმობს ადმინისტრაციულ ან სისხლისსამართლებრივ დევნას, რის შემდეგაც გამამართლებელი განაჩენები თითქმის არ დგება.

შეიძლება ითქვას, რომ ყველა, ვისთვისაც ემიგრაციისას პოლიტიკური მოტივაცია მთავარი იყო, **მუდმივად აკეთებს არჩევანს პოლიტიკური ქმედებების განხორციელების საშიშროებასა და აუცილებლობას** შორის, რადგან ვითარება რეგულარულად მძიმდება ახალი კანონებითა და პოლიტიკური დევნის ახალი შემთხვევებით.

მიგრანტებისთვის სამოქალაქო აქტივიზმში მონაწილეობის ყველაზე გავრცელებული გზაა შემოწირულებების გაღება რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური მედიისთვის. უცხოური აგენტების შესახებ კანონის და არასასურველი ორგანიზაციად დასახელების საფრთხის გამო, ქვეყანაში მოქმედი მრავალი ორგანიზაცია მხოლოდ დონორების შემოწირულებებით არსებობს. უფრო მეტიც, გადარიცხვები რუსული ბარათებიდან უნდა გაკეთდეს, რადგან უცხოური ბანკების ბარათებიდან გადარიცხვებმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მიმღებს.

მიგრანტების ნაწილი პასუხისმგებლობას იღებს ინფორმაციის გავრცელებაზე ომის, კორუფციის, რეპრესიების და ა.შ. შესახებ − რამაც შეიძლება სერიოზული პრობლემები

შეუქმნას რუსეთში მყოფებს. ზოგიერთი ინფორმანტი ამბობს, რომ ეს მათი მოვალეობაა, რადგან ამის შესახებ წერა აუცილებელია და ემიგრაციაში მყოფი ავტორისთვის მსგავსი რისკები არ არსებობს. არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ ემიგრანტების ნაწილი, რომელიც აცნობიერებს ამ ყველაფრის მნიშვნელობას, მაინც არ რისკავს ღიად და ბევრი წეროს ინტერნეტში, რადგან რუსეთში საქმეებისთვის უწევს წასვლა, ან ეშინია, რომ პრობლემები შეექმნება მათ ნათესავებს, რომლებიც ქვეყანაში დარჩნენ.

„აქ მიტინგებში მონაწილეობა ნამდვილად დაგვეხმარა ემოციების, ძირითადად, ბრაზის გამოხატვაში. ანუ მთელი ეს ნეგატივი, რომელიც დაგროვდა და გროვდება (...) საელჩოს წინ, რუსთაველის გამზირზე, მოედანზე. ყველა [მიტინგს] ვესწრებოდით, ყველაფერზე მოვედით, მხოლოდ იმისთვის, რომ გამოგვეხატა, ხალხთან ერთად გვეყვირა, თუ ვინ არის პუტინი და იმედი გვქონოდა, რომ ოდესმე გაგვიგებდნენ.“ (m, 26)

ცალკე დგას დისკუსია ანტისაომარი და ანტიპუტინისტური პროტესტების შესახებ. 2023 წლის თებერვლამდე თბილისში რეგულარულად ეწყობოდა ამგვარი აქციები. შეიძლება გამოვყოთ მოტივაციები, რომლებზედაც რუსები ლაპარაკობენ და ამგვარ აქციებში მონაწილეობას ან არმონაწილეობას ხსნიან. არგუმენტები მონაწილეობის შესახებ შეიძლება ასე ჩამოვაყალიბოთ: „ეს მნიშვნელოვანია იმათ მხარდასაჭერად, ვინც რუსეთში დარჩა, სულ უნდა ვაჩვენოთ ჩვენი ქმედითი სოლიდარობა“, „ეს მნიშვნელოვანია ჩვენთვის, ჩვენი სინდისის ხმაა“ „მნიშვნელოვანია, რათა ადგილობრივებს ვაჩვენოთ, რომ ჩვენი ომისა და პუტინის წინააღმდეგნი ვართ“. მოწინააღმდეგეთა არგუმენტებს შორის ყველაზე ხშირად გვხვდება მოსაზრებები: „აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ ჩვენ არაფერზე არ გვაქვს გავლენა რუსეთში, როცა იქ არ ვართ“, „აზრი არა აქვს, იმიტომ, რომ ვერ გვხედავენ ვერც იქ და ვერც აქ“.

„დავინახე საინტერესო განსხვავება რუსეთის მიტინგებთან, იმიტომ, რომ თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად იყო: ადამიანები ლოზუნგებით და პლაკატებით იდგნენ რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. მათ შევუერთდი, ვიყვირე, რაც საყვირელი იყო. შემდეგ კი ასეთი განცდა დამეუფლა: რა ხდება მერე? სადაა ომონი, რომელმაც უნდა დაგვშალოს? ვის უნდა გავექცე? ვის წინააღმდეგ ვგავარ აქ, სადაა კონფლიქტი? ჩემთვის მიტინგები და პროტესტები ყოველთვის კონფლიქტს უკავშირდებოდა და არა უბრალოდ აზრის გამოხატვას. და მაშინ, როცა მივხვდი, რომ არავინ დაგვშლის და არავინ გვეკამათება, არც არანაირად არ გვზღუდავს, გამიჩნდა, ერთი მხრივ, საოცარი განცდა, რომ ეს რაღაც ევროპული ტიპის პროტესტი იყო, როცა თავისუფლად შეგიძლია აზრების გამოხატვა, მაგრამ მეორე მხრივ, კარგად ველარ მივხვდი, რატომ ვაკეთებდი ამას (m, 31)

ასევე, მიგრანტების სამოქალაქო აქტივიზმის მნიშვნელოვანი კომპონენტია ახალ ქვეყანაში ლოკალიზებული საქმიანობა. აქ უპირველეს ყოვლისა, შეგვიძლია გამოვყოთ, უკრაინელი ლტოლვილების და ასევე, რეპრესიებისგან გაქცეული თანამემამულეების დახმარება: როგორც უკვე დევნილების, ასევე პოტენციურად რისკის ქვეშ მყოფი ჯგუფების (მაგალითად, ლგბტ აქტივისტების, რუსეთში „ლგბტ მოძრაობის“ ექსტრემისტულ ორგანიზაციებად აღიარების შემდეგ)

2022 წლის გაზაფხულზე საქართველოში სპონტანურად გაჩნდა ბევრი ინიციატივა რუსების მხრიდან უკრაინელი ლტოლვილების დასახმარებლად. რამდენიმე მათგანი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებს: Choose to help, მოწყალება, Emigration for action, Volunteers Tbilisi. მათი საქმიანობა გაფორმდა კიდეც, ვიღაცებმა ორგანიზაციები დაარეგისტრირეს. ბევრი უსახლკარო ცხოველებს ეხმარება ან ეკოლოგიურ აქტივიზმში ჩაერთო. მოხალისეობა ამსუბუქებს ომის სიმძიმეს და საშუალებას აძლევს ადამიანს, გადალახოს როგორც ომის, ასევე მიგრაციის სტრესი. ზოგიერთი ინფორმანტი აღნიშნავს, რომ მოხალისეობამ მათ საშუალება მისცა, ეპოვათ ადამიანები, რომლებთანაც ძალიან ახლოს იყვნენ იდეებითა და ღირებულებებით.

„ჩვენ, მაგალითად, გვაქვს მოხალისეობრივი მოძრაობა და შაბათობებს ვაწყობთ. მე არ ვაორგანიზებ, უბრალოდ მივეკედლე. ჩვენს მოძრაობაში მონაწილეობენ რუსები, უკრაინელები, ბელარუსები, ქართველებიც შემოგვიერთდნენ. არიან კორეელები, იაპონელები, ამერიკელებიც, ფრანგებიც და ა. შ. ერთგვარი ინტერნაციონალია. და იქ, შაბათობების შემდეგ ვურთიერთობთ, ერთობლივ პიკნიკებსაც ვაწყობთ. პრინციპში ყველანი ერთ ტალღაზე ვართ, ერთნაირი აზრები გვაქვს და ყველა ძალიან კარგია. ბევრი ადამიანი გავიცანი, რომლებთანაც ერთად ჩემს პროექტს ვაკეთებ.“(f, 51)

ადგილობრივ დღის წესრიგს რაც შეეხება, მიგრანტები უფრო მეტად ცდილობენ ცალკე დადგნენ. ჯერ ერთი, ბევრისთვის არაა საკმარისი დრო გასული იმისთვის, რომ ქვეყანა თავისად აღიქვას, მეორეც, ბევრს არა აქვს გადაწყვეტილი, რომ აქ „რჩება.“

„ადგილობრივი პოლიტიკა მეტ-ნაკლებად გვესმის. მაგრამ არ ვეჩრებით. გვაინტერესებს, მაგრამ მოქალაქეები არა ვართ, რაიმე რომ შევცვალოთ. ჩვენ უბრალოდ გვაქვს ჩვენი მოსაზრებები. ესაა და ეს. (f, 25)

თუმცა, ზოგიერთი მოვლენა, რომელიც მიმღებ ქვეყნებში ხდება და რაღაცნაირად ეხება მიგრანტების გრძნობებსა და გამოცდილებას, აქტივიზმისკენ უბიძგებს მათ. თუკი სომხეთში ყველაზე მნიშვნელოვანი გახდა სოლიდარობის გამოხატვა და აზერბაიჯანის მიერ მთიანი ყარაბაღის მიერთების დაგმობა, საქართველოში ასეთი იყო 2023 წლის მარტში უცხოური აგენტების კანონის წინააღმდეგ გამართული პროტესტი. სამოქალაქო აქტივისტებს შორის ცოცხალი დისკუსია მიდიოდა იმის შესახებ, უნდა მიეღოთ/შეეძლოთ თუ არა მიეღოთ რუსებს მონაწილეობა ამ პროტესტში და აქ აზრები მკვეთრად გაიყო. მონაწილეობის მომხრეები ამტკიცებდნენ, რომ სამოქალაქო წინააღმდეგობის წარუმატებლობა რუსეთში, რომელიც ემიგრაციის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი გახდა, ნებისმიერ ქვეყანაში თავისუფლებისთვის აქტიური ბრძოლის ბიძგის მიმცემად უნდა იქცეს.

„ისეთი განცდაა, რომ მიდიხარ, და შენი წარსული, რომელსაც გაექეცი, ისე გეწევა“ (m, 41)

„[ვმონაწილეობდი], იმიტომ, რომ მსოფლიოს მოქალაქე ვარ. და ზოგადად, როცა ხედავ რაიმე უსამართლობას, მგონია, რომ შინაგანად მნიშვნელოვანია, რომ შენი პოზიცია გამოხატო. ესაა ყველაზე მთავარი. მეორეც, არ მომწონს ეს პარადიგმა, რომ აქ სტუმარი ვარ. წელიწადნახევარია უკვე, რაც აქ ვარ - სტუმარი ვარ ისევ?“ (m, 40)

მოწინააღმდეგეები ამტკიცებდნენ, რომ მიგრანტებს, რომლებიც არ არიან მოქალაქეები, არა აქვთ უფლება ადგილობრივ პოლიტიკაში ჩაერიონ. *„მე ვთვლი, რომ უცხოელები არ უნდა მონაწილეობდნენ ადგილობრივ პოლიტიკურ საკითხებში. შეიძლება არსებობდეს გამონაკლისი, მაგალითად იმათთვის, ვისაც მუდმივად ცხოვრების უფლება აქვს ან ადგილობრივების ცოლები/ქმრები, რომლებიც მათთან ერთად ივლიან. მაგრამ მთლიანობაში ეს მოქალაქეების საქმეა და არა უცხოელებისა.“*

არსებობს მესამე, პრაგმატული თვალსაზრისიც, რომლის მიხედვითაც ოპოზიციის მხარდაჭერა არ არის სასარგებლო მიგრანტებისთვის. ოპოზიციონერი პოლიტიკოსების ნაწილი გაცილებით უფრო მკაცრ პოლიტიკას ემხრობა რუსი მიგრანტების მიმართ და ჩამოსულებს რუსული გავლენის აგენტებად მიიჩნევს.

ამ დისკუსიამ ხელი შეუწყო მსჯელობას იმის შესახებ, რომ მიგრანტებს საკუთარი სტატუსი სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობის ან არმონაწილეობის გზით განესაზღვრათ. ფორმალური სტატუსის არარსებობა გაურკვევლობას უქმნის მიგრანტებს და უბიძგებს, ცალ-ცალკე მიიღონ გადაწყვეტილებები.

„ჩემი მეგობრების მხოლოდ მცირე ნაწილი დადიოდა. ჩვენ ასევე გავაკეთეთ განცხადება ორგანიზაციის სახელით უცხოური აგენტების კანონთან დაკავშირებით. მომიტინგეებს უფასო წვნიანს და სასმელს ვთავაზობდით, შეეძლოთ მოსულიყვნენ და გამთბარიყვნენ. ღამის მორიგეობა გვქონდა. მაგრამ ხალხის უმეტესობა არ დადიოდა. სხვათა შორის, გამიკვირდა, რა ცოტა ნაცნობი იყო მიტინგზე“ (m, 40)

ასევე უნდა ითქვას, რომ ზოგიერთ შემთხვევაში რუსები არა მხოლოდ ქვეყნის, არამედ რეგიონალურ საკითხებშიც ერთვებიან. მაგალითად, საქართველოში 2023 წლის სექტემბერსა და ოქტომბერში არსებობდა ინიციატივა მთიანი ყარაბაღიდან დევნილების დასახმარებლად – გროვდებოდა თანხები და ჰუმანიტარული დახმარება.

4. მიგრანტთა საზოგადოება

მიუხედავად იმისა, რომ მიგრანტები საკმაოდ ჰეტეროგენული ჯგუფია, არსებობს საერთო ბედის განცდა არა მხოლოდ ემიგრაციის საერთო მიზეზების და ერთნაირი სირთულეების გამო, არამედ იმიტომაც, რომ მიგრანტები გარედან ერთ ჯგუფად აღიქმებიან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მიგრანტები არ არიან დაყოფილები „ტალღების“ მიხედვით. ახალჩამოსულები ეწერებიან საერთო სურათში – დადიან იმავე ადგილებში, ქირაობენ ბინებს ადრე ჩამოსულებთან ერთად. ასევე, ადრე ჩამოსულები აქტიურად ეხმარებიან „ახალბედებს“ ადაპტირებაში: უხსნიან, როგორაა აქაურობა მოწყობილი, უფლებას

აძლევენ პირველ ხანებში მათთან იცხოვრონ, უხსნიან კონტექსტს, უჩვენებენ საყვარელ ადგილებს.

არსებობს თვალსაჩინო ფენომენი – რუსების კონცენტრაცია ერთსა და იმავე წერტილებში (ქვეყნებში/ქალაქებში). ამის ძირითადი მიზეზებია:

- სოლიდარობისა და ურთიერთდახმარების მაღალი დონე (ორგანიზებული მხარდაჭერიდან - თავშესაფრებიდან და ა.შ. კერძო დახმარებამდე, ხშირად ეხმარებიან უცნობებს);
- ნდობის მაღალი დონე – ბევრი მიუთითებს ვარაუდზე, რომ ახალი ემიგრანტი, რომელსაც შეხვდებიან, სავარაუდოდ, მსგავსი შეხედულებებისა და ღირებულებების მქონე ადამიანი იქნება *(„აქ ბევრი რამ მომწონს, მაგრამ მთავარი ისაა, რომ როცა ვინმეს გავიცნობ, არ მჭირდება სიტყვები ვაკონტროლო. 99 პროცენტი არსებობს იმისა, რომ ადეკვატურ ადამიანს შევხვდები, ადეკვატურს იმ თვალსაზრისით, რომ ომი ბოროტებაა. ასე ფასდება ადეკვატურობა“* (m, 43);
- ახლო მეგობრები/ნათესავები/სოციალური წრე უკვე აქ არიან;
- რაღაც აქტივობები სულ არის − ლექციები რუსულ ენაზე, კონცერტები, პოლიტიკური შეხვედრები და აქციები და ა.შ.

ინტერვიუებიდან კარგად ჩანს, რომ თითქმის ყველა მიგრანტი რუსულენოვან „ბუშტში“ ცხოვრობს. ერთი მიზეზი – შიშია, უპირველესად არმიღების და არა აგრესიის შიში. მეორე მიზეზი – ახალი კონტაქტების დამყარების აუცილებლობის არარსებობა, იმიტომ, რომ არსებობს თანამემამულეების სანაცნობო წრე და ემიგრანტები ერთმანეთთან ურთიერთობას იოლად და მალე, თითქოს „თავისთავად“ ამყარებენ.

„სიმშვიდე და სრული გაცნობიერება, რომ ჩვენ ახლა უსაფრთხოდ ვართ... მეჩვენება, რომ დღესაც კი ვერ ვისვენებ. არა იმიტომ, რომ მეშინია, რუსეთის ხელისუფლება აქაც არ მოგვწვდეს. მაგრამ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არსებობს უარყოფითი განწყობები რუსეთიდან ჩამოსულების მიმართ. ის კი არა, რომ შიშით ვცხოვრობთ... არც კი ვიცი, როგორ აღვწერო ეს მდგომარეობა... ყველაფერს ფრთხილად ვაკეთებთ. ვიცით, რომ აქ კარგი, ადეკვატური ხალხი ცხოვრობს. მაგრამ კარგად გვესმის, რომ არიან ადამიანებიც, რომლებსაც რადიკალური დამოკიდებულება აქვთ რუსეთიდან საქართველოში ჩამოსულების მიმართ და მათთვის შენს პოზიციას მნიშვნელობა არა აქვს. (m, 27)

4.1 „ერთ ნავში ვართ“

მნიშვნელოვან ეპიზოდად, როცა საერთო ბედისწერის განცდა ძალიან ცხადად გამოჩნდა, უნდა ჩაითვალოს პირველი დღეები რუსეთში „ნაწილობრივი“ მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ. მაშინ ახალი მიგრანტების ნაკადი ისევ მოაწყდა საქართველოს და სწრაფი დახმარების ორგანიზებასთან ერთად (როგორც პერსონალური, ასევე ორგანიზაციებიდან და საინიციატივო ჯგუფებიდან), ჩატარდა სულ მცირე 4 ღია შეხვედრა ახალჩამოსულთათვის და როგორც ონლაინ, ისე ბეჭდური სახით გავრცელდა

სამოქმედო წესები (გაიდები)და ბუკლეტები, ყველაზე საჭირო პირველადი ინფორმაციით საქართველოში ადაპტაციის შესახებ. 24]

„მეგობარმა ჩამიგდო ჩატი „*Экстренный трип в Грузию*“*(სასწრაფო მოგზაურობა საქართველოში), როცა გავწევრიანდი, იქ 300-ზე მეტი ადამიანი იყო. იმ დროისთვის, კი როცა საქართველოში ჩამოვფრინდი, ანუ ერთი თვის შემდეგ, უკვე 7000 ადამიანი იყო. (...) იქ გავიცანით ერთმანეთი და ვეხმარებოდით, ისეთი განწყობა იყო, რომ, აი ჩატში წერ, ისევ მოსკოვში ხარ, ვიღაც საქართველოშია, ან პიტერში, ან სადმე, და დამაკვალიანეთ. ადამიანები ერთმანეთს ეუბნებოდნენ, რომ აი „ყველაფერი ოკეია, ყველაფერი კარგადაა ყველაფერი ნორმალურადაა“. „ყოჩაღი ხარ, გაუმკლავდები“. ბუნებრივია, რომ ერთმანეთი გავიცანით. მუდმივად იქ ვიჯექი, იმიტომ, რომ ეს იყო ერთადერთი ადგილი, რომელიც ისეთი რეალობის განცდას ქმნიდა, რომ კიდევაა დარჩენილი რაღაც, რაც არ ჯერ კიდევ მოკვდა. რაღაც ადამიანურობა“*(f, 27)

შეხვედრებსა და გაიდებით უპირველეს ყოვლისა, ტექნიკური ინფორმაცია ვრცელდებოდა: როგორ იპოვო საცხოვრებელი, როგორ აიღო საბანკო ბარათი, რომელი პროვაიდერებია საქართველოში და ა. შ. მაგრამ ამას გარდა, თითქმის ყველგან იყო მოცემული ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობის წესები და ძირითადი ფაქტები, რომლებიც მიგრანტებს „უნდა სცოდნოდათ“ საქართველოს შესახებ. ჩამოვთვალოთ ისინი:

- არ დაიწყო ურთიერთობა რუსულ ენაზე;
- საქართველოს 20% ოკუპირებულია რუსეთის მიერ;
- შეისწავლეთ მასალები 2008 წლის ომის, 1992-1993 წელის ქართულ-აფხაზური ომის და რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შესახებ.

თვალსაჩინოა ადრე ჩამოსული მიგრანტების ინიციატივა გვიანდელებთან მიმართებაში: რადგან მიგრანტები (ამ შემთხვევაში, ყველა რუსულენოვანი) აღიქმებიან, როგორც ერთიანი ჯგუფი, მაშინ საერთო იერ-სახეზე ყველა პასუხისმგებელია. ამ შემთხვევაში ჩამოსულთა იდენტობა არა მხოლოდ „შიგნიდან“, პიროვნების თვითაღქმიდან ყალიბდება, არამედ „გარედან“, მიმღები საზოგადოებისა და სხვა მიგრანტებისგან. პრინციპი „ყველა თავისთვისაა“ ამ ჯგუფებთან დამოკიდებულებისას არ მუშაობს.

4.2 აქტივისტების საზოგადოება

თითქმის ყველა მიგრანტი აგრძელებს ურთიერთობას როგორც სხვა ქვეყნებში წასულ ემიგრანტებთან, ისე რუსეთში დარჩენილებთან. აქტივისტებს მნიშვნელოვნად მიაჩნიათ რუსეთში დარჩენილი უფლებადაცვითი ორგანიზაციების და სამოქალაქო აქტივისტების დახმარება, თუმცა, ეს ყველაფერი გართულებულია. მაგალითად, შემოწირულებები უცხოური საბანკო ბარათებიდან შეიძლება მიჩნეულ იქნეს „უცხოურ დაფინანსებად“ და მიმღების უცხოელ აგენტად ცნობის მიზეზად იქცეს. ბევრი ჩვენი რესპონდენტი ლაპარაკობდა ამ საშიშროებაზე და ამიტომ, ამ მიზნით მხოლოდ რუსულ ბარათებზე არსებული თანხები გამოიყენება. ასევე თბილისში პერიოდულად იმართება

ღონისძიებები, სადაც ჩამოდიან ის აქტივისტები, რომლებსაც რუსეთი არ დაუტოვებიათ. ესაა პირადი ურთიერთობების, დახმარების ქსელის და გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

ურთიერთობის კიდევ ერთი მიმართულებაა რუსი აქტივისტები ევროპაში. ის, ვისაც აქვს ევროპაში სიარულის შესაძლებლობა (აქვთ შენგენის ვიზა ან მუდმივი ცხოვრების უფლება ევროკავშირის რომელიმე ქვეყანაში) მიგრანტთა შორის პრივილეგირებულად ითვლება. ასევე, 2022-2023 წლების განმავლობაში ბევრმა აქტივისტმა მიიღო ჰუმანიტარული ვიზა და გერმანიაში წავიდა. ამის მიუხედავად, ეს ადამიანები ვერ ქმნიან მჭიდრო თემებს, რადგან ვიზების მიმღებნი შემთხვევითობის პრინციპით ნაწილდებიან გერმანიის სხვადასხვა რეგიონში. შესაბამისად, აქტივისტები სხვადასხვა ადგილებში მიმოიფანტნენ. ამიტომაც აქტივისტების კავშირები სულ უფრო და უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული საზღვრებზე. ბერლინში რეგულარულად იმართება რუსულენოვანი ღონისძიებები, პოლიტიკურ-ოპოზიციური თემატიკით და აქტივისტებისთვის (მაგალითად, „ანტისაომარი ინიციატივების პლატფორმა“ „უცხო ქვეყნის აგენტების ყრილობა“, „რუსეთის მუნიციპალური დეპუტატების ყრილობა“, სახაროვის ცენტრის კონფერენციები.). ბერლინს, ჩვენი ინფორმანტების დაკვირვებით, აქვს, „ევროკავშირში აქტივისტური ცენტრის“ რეპუტაცია, ხოლო თბილისს – „აქტივისტური ცენტრისა ევროკავშირის გარეთ“. საქართველოდან აქტივისტების მასობრივი გადინების მიუხედავად, თბილისში კვლავ რჩება მრავალი სხვადასხვა მიმართულების აქტივისტი და ჟურნალისტი. აქ რეგულარულად ტარდება მათი საქმიანობის მხარდამჭერი, გამოცდილების გაზიარების ღონისძიებები, ტრენინგები და ა.შ.

რაოდენობრივი მონაცემები ადასტურებს, რომ ემიგრირებულ რუსებს შორის ურთიერთნდობა მაღალია სრულმასშტაბიანი ომის დაწყებიდან ნახევარი წლის შემდეგაც. [25] ვთვლით, რომ აქ ერთ-ერთ გადამწყვეტ როლს ასრულებს ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში მყოფი მიგრანტები აქტიურად ურთიერთობენ, ასევე მაღალი მობილობა. ადგილის ხშირი ცვლილება ხელს უწყობს ახალი ამბების გავრცელებას მიგრანტების თემებს შორის და გარემოს „აღრევას“.

4.3 ურთიერთობა და დამოკიდებულება

ბევრი ჩამოსული გამოთქვამს სურვილს, ისწავლოს ქართული ენა, მაგრამ ამას სისტემატურად ცოტა თუ აკეთებს, რადგან ქართულის სწავლას არა პრაგმატული, არამედ სიმბოლური და რეკრეაციული მნიშვნელობა აქვს. ქართულად ლაპარაკის შესაძლებლობა აღიქმება, როგორც პატივისცემის გამოხატვა, რაც ბევრისთვის მნიშვნელოვანია. ქართულ ენას სწავლობენ ან ძალიან დაინტერესებულები, ან ძალიან პრივილეგირებულები - იმიტომ, რომ თავისუფალი დროის არსებობის შემთხვევაში ეს საინტერესო, თან ეგზოტიკური ჰობია. მოტივაციას ასევე კლავს გრძელვადიანი გეგმების არარსებობა. ბევრს არ აქვს ძალა, შესაძლებლობა და ფული ენის შესასწავლად და ხშირად ინგლისურის გაუმჯობესებას ანიჭებენ უპირატესობას. ჩამოსულთა უმეტესობა ადგილობრივებთან რუსულად ან ინგლისურად ურთიერთობს.

„როცა ჩამოვედით, ქართულის შესწავლა იუთუბის ვიდეოებიდან დავიწყე, მაგრამ სულ რამდენიმე ლექციას მოვუსმინე და დამეკარგა მოტივაცია, იმიტომ, რომ კარგად არ მესმოდა, რატომ ვსწავლობდი ქართულს. ენობრივი ბარიერი არ მექმნება, იმიტომ, რომ ქართველები ინგლისურად ან რუსულად ლაპარაკობენ.“(m, 28)

„თავიდან რაღაც უხერხულობას ვგრძნობდი, მეშინოდა რუსულად ლაპარაკი. და უბრალოდ მივეჩვიე, რომ ინგლისურად დამეწყო [ურთიერთობა]. ადამიანები ხვდებოდნენ, რომ რუსი ვარ და თვითონ გადადიოდნენ რუსულზე. თანაც, ისეთ ადგილებში დავდივარ, სადაც ბევრია რუსულენოვანი და პრობლემები არ მექმნება. ყველა ჩემი ქართველმა მეგობარმა იცის რუსული.“ (f, 33)

„აქ ახალგაზრდების 90 პროცენტმა ინგლისური იცის, ხოლო უფროსი თაობის 90 პროცენტმა - რუსული. აქ არ არის საჭირო ქართული ენის ცოდნა. თავაზიანობისთვის, ცხადია, არ იქნებოდა ცუდი, მაგრამ ნახევარი წელი გავიდა და მხოლოდ სამი ფრაზა ვიცი“. (m, 43)

მიგრანტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემა ისაა, რომ რუსი მიგრანტები ქართული საზოგადოებისთვის უფრო მეტად ასოცირდებიან არა ანტისაომარ და პუტინთან ბრძოლასთან, არამედ ტურიზმთან და დასვენებასთან საომარ დროს. ადგილობრივები ხშირად აღიქვამენ მათ, როგორც შეძლებულ ადამიანებს, „მოდურ ჰიპსტერებს“. ეს სტერეოტიპი მიგრანტების იმ ნაწილში, რომელიც ასეთი არაა, იმედგაცრუებას იწვევს. თანაც ეს ადამიანები ხშირად უხილავებად რჩებიან, იმიტომ, რომ არ ატარებენ დროს მოდურ კაფეებსა და ბარებში, არ ცხოვრობენ ქალაქის ცენტრში. ეს სიტუაცია სხვადასხვა რეაქციას იწვევს: იგნორირებას, მხოლოდ პოზიტიურ ურთიერთობებზე კონცენტრირებას, მხოლოდ ემიგრანტთა წრეში ჩაკეტვას და შედარებით იშვიათად – საერთაშორისო ექსპატების საზოგადოებასთან ურთიერთობას. ზოგიერთი უკრაინულ სიმბოლიკას ატარებს საკუთარი პოზიციის ღიად გამოსახატად.

ბოლო ორ წელიწადში ქალაქის ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ელემენტია აგრესიული ანტირუსული გრაფიტები. ქალაქში მუდმივად მცხოვრები მიგრანტები ცდილობენ, არ შეიმჩნიონ ეს წარწერები და სამყარო საკუთარი ხედვის მიხედვით აღიქვან. [26] ინტერვიუებში ძირითადად ამბობენ, რომ ეს მათ არ ეხებათ („მე ხომ პუტინისტი არ ვარ“, „მე არ ვემხრობი ომს“, „მე მხარს ვუჭერ უკრაინას“ და ა. შ.) ან იზიარებენ წარწერების სულისკვეთებას (მაგალითად, ასეთი წარწერების შემთხვევაში Fuck Russia, Fuck Putin ან Russia is a terrorist state). სხვები ამბობენ, რომ თავიდან ეს წარწერები ხვდებოდათ თვალში და შფოთს იწვევდა, მაგრამ მალევე შეეჩვივნენ და აღარ ამჩნევენ. ასევე, ხშირად ისმის თვალსაზრისი, რომ ამ წარწერებს რუსეთის მოქალაქეები აკეთებენ. ეს თვალსაზრისი პოპულარული იმის შემდეგ გახდა, როცა ერთი წარწერა ნამდვილად რუსეთის მოქალაქემ გააკეთა, ხოლო შემდეგ ბოდიში მოიხადა ამის გამო. [27] ასეა თუ ისე, ყველა ახალჩამოსულს უწევს, გამოიმუშაოს სტრატეგიები აგრესიისა და მიუღებლობის გამოხატვასთან გასამკლავებლად.

„წარწერები, რომლებიც აქაა კედლებზე – „ამოწყდით რუსნიებო“, ან რამე ამგვარი, რაღაცნაირად არ მეხება, იმიტომ, რომ საკუთარ თავს არ ვაიგივებ „რუსნიებთან“. ამას გარდა, მართლა მესმის საკუთარი პასუხისმგებლობის ხარისხი. ბრალი, რომელსაც ვგრძნობ, უფრო მეტად იმას უკავშირდება, რომ ყოველთვის ვიცოდი, როგორი ბოროტება იჯდა იქ, მაგრამ ვაგრძელებდი იქ მუშაობას, შრომას და ვკვებავდი მას ჩემი გადასახადებით. ანუ, ესაა ჩემი დანაშაული – ამას ასე აღვიქვამ, ესაა და მხოლოდ ეს. ის, რომ ვცდილობდი ამ ხელისუფლებასთან ბრძოლას, ეს იყო... *გესმის... ჩემს თავს ვერ ვუსაყვედურებ, მე ხომ პრინციპში, აქტიური მოქალაქე ვიყავი...* (f, 51)

ახალი ტალღის მიგრანტთა ბევრ წარმომადგენლებს, განსაკუთრებით, ახალგაზრდებს, მტკიცედ სჯერათ ფემინიზმის იდეების, მხარს უჭერენ ლგბტ+ თემს, ღიანი არიან ეთნიკური და რასობრივი მრავალფეროვნების და დეკოლონიზაციის დღის წესრიგის მიმართ. რუსი მიგრანტები საკუთარ თავს და ქართულ საზოგადოებას ევროპული/ლიბერალური ღირებულებების მატარებლებად თვლიან. ინტერვიუებში ბევრი ამბობს, რომ სწორედ ამიტომ აირჩია საქართველო.

„ჩემი აზრით, სომხეთი მაინც უფრო კონსერვატორული და პროპუტინისტურია. საქართველო კი უფრო ევროპული-დემოკრატიულია, თუმცა, რაღაც ნიუანსები მაინც არის. (...) პოლიციის მაგალითი რომ ავიღოთ – სრულიად წარმოუდგენელი გრძნობაა, როცა საერთოდ არ გეშინია პოლიციელის. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთში მათი უფრო მეშინოდა, ვიდრე ვიღაც ბანდიტებისა. ეს ძალიან მაგარი რამეა – მართლა უსაფრთხოდ და თავისუფლად გრძნობ თავს.“ (f, 51)

„ძალიან მინდა ადგილობრივები გავიცნო, განსაკუთრებით, ადგილობრივი ახალგაზრდები, იმიტომ, რომ შეიძლება ვცდები, მაგრამ ერთი შეხედვით მგონია, რომ საქართველოს მომავალი მის ახალგაზრდობაშია - ისინი ძალიან განსხვავდებიან უფროსი თაობისგან. ის კი არა, რომ უფრო ევროპეიზებულები არიან, არამედ ის, რომ შინაგანი თავისუფლების მაღალი ხარისხი იგრძნობა.“ (f, 23)

ამასთანავე სხვა ინფორმანტებს საწინააღმდეგო მოსაზრებები აქვთ, როცა ერთსა და იმავე სურათებს აღწერენ: რომ საქართველო „პოსტსაბჭოთა ქვეყანაა“ დაუმთავრებელი მოდერნიზაციით, რომ ადამიანებს აქ „ძირითადად არ უნდათ მუშაობა“ და ამიტომ მათთან საქმიანი ურთიერთობა ძნელია მაშინაც კი, როცა ამის შესაძლებლობა არის.

ინტერვიუებიდან ჩანს, რომ მიგრანტებს არა აქვთ საქართველოს და მისი მაცხოვრებლების ერთმნიშვნელოვანი აღქმა − ქვეყანა თითქოს „კულტურულად ახლოა“, ანუ „პოსტსაბჭოთაა“ და თან „უფრო თავისუფალია“ „ევროპეიზებულია“. თავისუფლებაზე ლაპარაკისას ინფორმანტები ყველაზე ხშირად ახსენებენ პროტესტის კულტურას და დამოუკიდებელ საქართველოში ხელისუფლების ცვლას, „კულტურულ სიახლოვეზე“ ლაპარაკისას მხედველობაში აქვთ რუსული ენის ცოდნა, კორუფცია, თუმცა, ხშირად ვერ ასახელებენ რაიმეს კონკრეტულს.

ძალიან ძნელია ზემოთქმულის განზოგადება. ყველაზე ხშირად მიგრანტებს შეუძლიათ აღწერონ ის დამოკიდებულება, რომელსაც გრძნობენ. ყოველი ახალი სოციალური კონტაქტი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც ძალიან მეგობრული, ასევე ცივი და მკვეთრად უარყოფითი. გავრცელებულია მოსაზრება, რომ ეს ასაკზეა დამოკიდებული – რომ უფროსი თაობა უფრო მეტად პოზიტიურად ან ნეიტრალურადაა განწყობილი რუსების მიმართ, მაშინ, როცა ახალგაზრდები თუ არ გაურბიან ურთიერთობას, მაშინ „ამოწმებენ“, ემთხვევა თუ არა მიგრანტის მოსაზრებები რუსული პოლიტიკის შესახებ მათ აზრებს. ასევე მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ დაძაბულობა ადგილობრივებსა და მიგრანტებს შორის კონცენტრირებულია თბილისში, მაშინ, როცა საქართველოს სხვა რეგიონებში რუსები აღიქმებიან ისევე, როგროც სხვა „ტურისტები“ და „უცხოები“.

დასკვნა

— სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყება შოკისმომგვრელი ამბავი იყო ყველა რუსი მიგრანტისათვის, ვისთანაც ვესაუბრეთ, ისევე, როგორც რუსების მიერ უკრაინაში სამხედრო მოქმედებების მასიური მხარდაჭერა. 2022 წლის 24 თებერვლის შემდეგ პირველ თვეებში და რუსეთში მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ჭარბობდა შიში, დეპრესია და დაბნეულობა.

— 2022 წლის ორი **„ტალღა“** − სრულმასშტაბიანი შეჭრის და ნაწილობრივი მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ **ცოტათი თუ განსხვავდება.** საშუალო ასაკი 32 წელია. მიგრანტების დიდი უმრავლესობა ორი დიდი ქალაქიდან იყო – მოსკოვიდან და სანკტ-პეტერბურგიდან. უმეტესობას ჰქონდა საკმარისი დანაზოგი, რომელიც ექვს ან მეტ თვეს ეყოფოდა. ერთადერთი მნიშვნელოვანი განსხვავება გენდერულ შემადგენლობაშია: 2022 წლის გაზაფხულზე მამაკაცებისა და ქალების რაოდენობა თითქმის თანაბარი იყო, შემოდგომაზე კი მამაკაცები მიგრაციის ტალღის ორ მესამედს შეადგენდნენ. მეორე ტალღის მიზეზი მობილიზაციის შიში იყო.

— მთავარი **მიზეზებია**: პოლიტიკური დევნის საფრთხე, ცენზურა, მძიმე ფსიქოლოგიური მდგომარეობა, მობილიზაციის საფრთხე და პერსპექტივის უქონლობა. მიგრანტების პასუხებიდან გამომდინარე, ეს მიგრაცია შეიძლება შეფასდეს, როგორც ძირითადად პოლიტიკური, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ დღევანდელ რუსეთში ეკონომიკური მიზეზების გამოყოფა პოლიტიკურისგან თითქმის შეუძლებელია.

— მიგრანტებს **მაღალი მობილურობა** ახასიათებთ, როგორც მოკლევადიანი (მოგზაურობა), ასევე გრძელვადიანი (საცხოვრებელი ქვეყნის/ქალაქის შეცვლა). ამ პირობებში გათვლების გაკეთება ძალიან რთულია, მაგრამ ერთგვარი კონსენსუსია საქართველოში მუდმივად მცხოვრები 100 ათასი რუსის შესახებ.

— მიგრაციის **ინტენსივობა მცირდება**. ასევე შესამჩნევია, ზოგადად, მიგრანტების რაოდენობის შემცირების ტენდენცია. მნიშვნელოვანი ნაწილი თავიდანვე განიხილავდა საქართველოს, როგორც სატრანზიტო ქვეყანას ძირითად მიგრაციამდე. შემდგომი გადაადგილება უკავშირდება ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, , გრძელვადიან ლეგალიზაციას ან თუნდაც ახალი მოქალაქეობის მიღების შესაძლებლობას.

— დროის სვლასთან ერთად იზრდება პესიმისტური განწყობები **რუსეთში პოზიტიური ცვლილებების შესაძლებლობასთან** დაკავშირებით. მიგრანტებს ასევე აშფოთებთ ომისა და პროპაგანდის გრძელვადიანი შედეგები რუსული საზოგადოებისთვის. სავარაუდოდ, რუსების უმრავლესობა ომის დასრულების შემდეგაც გააგრძელებს ემიგრაციაში ცხოვრებას. ბევრი დარჩება საქართველოში, თუ რუსების ყოფნის პირობები მნიშვნელოვნად არ შეიცვლება.

— ტოპ 3 ყველაზე გავრცელებული პროფესია ახალჩამოსულებს შორის არის: IT სფერო, განათლება, კულტურა, ხელოვნება და დიზაინი. ჩამოსვლის დროს დაახლოებით 70 პროცენტს ჰქონდა დისტანციური სამუშაო. დაახლოებით მესამედს სჭირდებოდა სამუშაოს ძებნა. შეიძლება გამოიყოს **ეკონომიკური ადაპტაციის სამი ძირითადი სტრატეგია**: 1) დისტანციური სამუშაოს ძიება, 2) ოფლაინ სამუშაოს ძიება, 3) ბიზნესის დაწყება. დისტანციური სამუშაოს პოვნა აშკარად პრიორიტეტულია, რადგან ის საშუალებას იძლევა დააბალანსო იძულებითი გადაადგილების რისკები. საქართველოში დასაქმებულთა უმრავლესობა სხვა მიგრანტების მიერ გახსნილ ორგანიზაციებსა და ბიზნესებში მუშაობს.

— ახალმოსულთა უმეტესობა მონაწილეობდა **სამოქალაქო აქტივიზმში სხვადასხვა ფორმით**: საპროტესტო აქციებში ან პერფორმანსებში, მოხალისეობდნენ საპროტესტო აქციებზე დაზარალებულების მხარდასაჭერად, აკვირდებოდნენ არჩევნებს, სწერდნენ წერილებს პოლიტპატიმრებს და იბრძოდნენ ადამიანის უფლებებისთვის.

— აქტივისტებს ერთდროულად ეშინიათ არ ავნონ საკუთარი თავს და ახლობლების რუსეთში და უქვეითდებათ მოტივაცია მათი საქმიანობის უშედეგობის განცდის გამო.

— **საზღვარგარეთ სამოქალაქო მონაწილეობის ხელმისაწვდომი გზები**ა: შემოწირულებები რუსული არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ოპოზიციური მედიისთვის, ომის, კორუფციის, რეპრესიების შესახებ ინფორმაციის გავრცელება, ომის საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებზე დასწრება. საქართველოში საპროტესტო აქციებში რუსები თითქმის არ მონაწილეობენ, ბევრს აქვს ეჭვები, რამდენად აუცილებელი და მიზანშეწონილია ეს.

— ბევრი **მოხალისეობს** ან მხარს უჭერს ორგანიზაციებს, რომლებიც ეხმარებიან უკრაინელებსა ან თანამემამულეებს, რომლებსაც რუსეთში დევნიან. ეხმარებიან უსახლკარო ცხოველებს ან ეწევიან გარემოსდაცვით აქტივიზმს. მოხალისეობას მოაქვს

შვება მიმდინარე ომთან გამკლავებაში და საშუალებას აძლევს ადამიანს, დაძლიოს როგორც ომის, ასევე მიგრაციის სტრესი.

— სტატუსის გაურკვევლობა და ქვეყანაში საკუთარი ყოფნის „არასასურველობა“ **აფერხებს** მიგრანტებს, აქტიურ მონაწილეობა მიიღონ **საქართველოსთან დაკავშირებულ პოლიტიკურ თუ სამოქალაქო აქტივიზმში.**

— ახალჩამოსულები აღიქვამენ საკუთარ თავს, როგორც ერთი ჯგუფის წევრები და ასეთებად აღიქმებიან გარედანაც. 2022-2023 წლების მიგრანტები და ადრინდელი პოლიტიკური მიგრანტები ცხოვრობენ **რუსულენოვან „ბუშტში“,** რაც აიხსნება იმით, რომ არ არსებობს ამ „ბუშტის“ საზღვრებს გარეთ გასვლის აუცილებლობა და ასევე აფერხებთ გარედან უარყოფის შიში.

— რუსების კონცენტრაცია გარკვეულ ქალაქებში თავისთავად განსაზღვრავს იმას, რომ **მიგრანტები მიდრეკილნი არიან გაერთიანდნენ, იცხოვრონ „თავისიანებს“ შორის**, არა მხოლოდ უსაფრთხოებისა და მხარდაჭერისთვის, არამედ საერთო შეხედულებების, აქტუალური კონტექსტისა და ცხოვრების ჩვეული წესის გამო.

— თითქმის ყველა მიგრანტი აგრძელებს აქტიურ ურთიერთობას როგორც სხვა ქვეყნებში მყოფ ემიგრანტებთან, ასევე რუსეთში დარჩენილებთან. **თბილისი ემიგრაციაში მყოფი აქტივისტების ერთ-ერთ „ჰაბად“ ითვლება**. თბილისში რეგულარულად ტარდება ღონისძიებები, როგორც რუსეთში, ასევე სხვა ქვეყნებში მცხოვრები რუსი აქტივისტების მონაწილეობით.

— **ქართული ენის შესწავლის იდეა პოპულარულია ახალჩამოსულთა შორის,** მაგრამ ამას ყველა არ აკეთებს, რადგან გაურკვეველია მათი საქართველოში ყოფნის ხანგრძლივობა, უმეტესწილად არ არსებობს ქართულის ცოდნის აუცილებლობა და რთულია ქართული ენის შესწავლა ნულიდან. ქართულის საბაზისო ცოდნას ძირითადად ქვეყნისა და კულტურის მიმართ პატივისცემის გამოხატვის სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

— რუსი მიგრანტების, როგორც დიდი შემოსავლის მქონე და კომფორტში მცხოვრები პრივილეგირებული ადამიანების იმიჯი **ყველაზე დაუცველი მიგრანტების** იმედგაცრუებას იწვევს, რომლებიც ფინანსურ და სხვა სირთულეებს განიცდიან. ხშირად ეს ადამიანები უხილავნი რჩებიან, რადგან არა აქვთ შესაძლებლობა, გაატარონ დრო სახლსა და სამსახურს გარეთ.

— ახალჩამოსულები მათ მიმართ გამოხატულ უარყოფითი დამოკიდებულებებს ფილტრავენ, რადგან, როგორც წესი, ფიქრობენ, რომ არ შეუძლიათ შეეწინააღმდეგონ მსგავს გამოხტომებს. ამასთან ერთად ზოგადად, **საკუთარი თავის მიმართ დამოკიდებულებაც არაერთგვაროვანია:** ყოველი ახალი სოციალური კონტაქტი შეიძლება აღმოჩნდეს როგორც მეგობრული, ასევე ცივიც ან მკვეთრად უარყოფითიც. დაძაბულობა

ძირითადად თბილისშია და ნაკლებად საგრძნობია მიგრანტებისთვის ქვეყნის სხვა რეგიონებში.

გამოყენებული ლიტერატურა

[1] Mataradze, Teona, and Florian Mühlfried. "Leaving and Being left Behind: labor Migration in Georgia." Caucasus Analytical Digest 4 (2009): 2-4. Badurashvili, Irina. Circular migration in Georgia (2012).

[2] ჩვენ ვიყენებთ ტერმინს „მიგრანტები“, რათა ჩვენი ინტერპრეტაციებით არ დავამძიმოთ რესპონდენტთა სტატუსი და არ ვკონცენტრირდეთ მიგრაციის მხოლოდ ერთ ტიპზე. პირდაპირი შეკითხვაზე რუსები იყენებენ სიტყვებს „ემიგრანტები,“ „ექსპატები“, „რელოკანტები“, თუმცა, უმეტესწილად, განსაკუთრებით 2022 წელს, ამჯობინებდნენ არ გამოეყენებინათ რაიმე ტერმინი საკუთარ თავთან მიმართებაში. *„ზოგადად, სიმართლე გითხრათ, უფრო იმისკენ ვიხრები, რომ ეს იგივეა, რაც ადამიანისთვის რაღაც იარლიყის მიაწებო. მე ვარ ადამიანი, რომელსაც... არ მინდა ვიცხოვრო ისეთ ქვეყანაში, რომელიც დღეს იქცა იმად, რადაც იქცა. მე ვარ ადამიანი, რომელიც წამოვიდა, რომელიც არაა თანახმა“* (m, 26). ამის მიზეზი საკუთარი სტატუსის მიუღებლობა და გეგმების გაურკვევლობაა. რწმენა იმისა, რომ რუსეთს სამუდამოდ ან დიდი ხნით ტოვებენ, პირდაპირ კავშირშია მზადყოფნასთან, უწოდონ საკუთარ თავს „მიგრანტი“/“ემიგრანტი“. ტერმინები „რელოკანტი“ და „ექსპატი“ მიუთითებს საცხოვრებელი ადგილის ცვლილების ნებაყოფლობითობაზე, მის დროებით და ცვალებად ხასიათზე, ასევე პიროვნების პრივილეგირებულ პოზიციაზე (ადგილის არჩევის თავისუფლება, რომელიც დამოკიდებულია ადამიანის სურვილზე და არა გარემოს ზეწოლაზე). თავიდან სიტყვა „რელოკაცია“ მხოლოდ ვიწრო მნიშვნელობით გამოიყენებოდა და აღნიშნავდა ბიზნესის გადატანას ან დამსაქმებელ კომპანიასთან ერთად გადაადგილებას, თუმცა სწრაფად მიიღო უფრო ფართო მნიშვნელობა და ფაქტობრივად მიუახლოვდა „მიგრაციას”. ასევე რუსების ჩატებში და ყოველდღიურ კომუნიკაციაში, ხშირად შეგხვდებათ ირონიული სახელები: «уезжанты», «понаехи» და ა.შ. ეს საშუალებას იძლევა გაუმკლავდნენ როგორც მიგრაციის სტრესს, ასევე საკუთარი თავის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულებას.

[3] საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, 03.10.2022 https://info.parliament.ge/file/1/MpQuestionContent/19959

[4] «800 тысяч россиян могли покинуть страну в 2022 году» Если быть точным, 27.02.2023 *Ирина Ширманова* https://tochno.st/materials/rossiyan-mogli-pokinut-stranu-v-2022-godu

[5] «Russian émigrés in Georgia» CRRC-Georgia, 05.09.2023 *Givi Sigaladze* https://crrc.ge/uploads/tinymce/documents/NED/NED%20Russians%20report%20v3_ENG.pdf

[6] «After A Frosty Reception, Tbilisi's Wartime Russians Are Beginning To Leave» Radio Free Europe, 21.01.2024 *Joshua Kucera* https://www.rferl.org/a/georgia-russians-fleeing-war-leaving-/32784835.html#

[7] „ომამდელები“ (Довойнята), „თებერვლისები“(февралята), „სექტემბრისები“ (сентябрята). ეს ტერმინები განასხვავებს რუსი ემიგრანტების ახალ ტალღას საქართველოში იმათგან, ვინც მობილიზაციის გამოცხადებამდე ჩამოვიდა. Спектр.Пресс 17.10.2022 *Максим Дементьев* https://spektr.press/dovojnyata-fevralyata-sentyabryata-chto-otlichaet-novuyu-volnu-russkih-immigrantov-v-gruzii-ot-teh-kto-uehal-eschyo-do-vvedeniya-mobilizacii/

[8] ყველაზე დიდი დისკუსია გამოიწვია მოხსენებამ «The Putin Exodus: The new Russian brain drain» 21.02.2019 https://www.atlanticcouncil.org/in-depth-research-reports/report/the-putin-exodus-the-new-russian-brain-drain-3/, რომელიც დღესაც აქტუალურია. პირობით წყალგამყოფად 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნები და ამასთან დაკავშირებული ბოლოტნაის პროტესტები ითვლება მოსკოვში და რუსეთის სხვა რეგიონებში. ეს ახალი დროის ყველაზე დიდი პროტესტი იყო რუსეთში. პროტესტის სასტიკმა ჩახშობამ, ვ. პუტინის ხელახალმა არჩევამ მესამე ვადით და არჩევნების გაყალბების არცნობამ მოკლა ყველა იმედი რუსეთის დემოკრატიული მომავლის შესახებ. ამის შემდეგ მიგრაციის პოლიტიკურმა ფაქტორმა ეკონომიკურ ფაქტორთან მიმართებაში საგრძნობლად მოიმატა. რუსეთიდან ემიგრაცია, როგორც მანამდე, ისე მის შემდეგ, უკავშირდებოდა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას, პერსპექტივებს ახალგაზრდებისთვის, სპეციალისტებისთვის, ბიზნესმენებისთვის, მაშინ, როცა რუსეთში ამავე ელიტებისთვის პერსპექტივები კლებულობდა. პესიმისტური განწყობების მკვეთრმა ზრდამ გამოიწვია ემიგრაციის მცირე (ქვეყნის მასშტაბით) ზრდა, რომელიც გაგრძელდა ყირიმის ანექსიისა და ძალაუფლების შემდგომი ავტოკრატიზაციის კვალდაკვალ. რთულია ამ პერიოდში ეკონომიკური და პოლიტიკური მიზეზების გამიჯვნა, რადგან ამ მოვლენას ერთდროულად მოჰყვა პოლიტიკური (ხელისუფლებამ გადალახა „წითელი ხაზი“) და ეკონომიკური (ეკონომიკის სტაგნაცია რუსეთის წინააღმდეგ სანქციების შემოღების შემდეგ) ცვლილებები. პოლიტიკური მიზეზები ისევ იზრდება. 2010-იანი წლების ემიგრანტები აშკარად განსხვავდებიან წინა წლების (განსაკუთრებით 1990-იანი წლების) ემიგრანტებისგან, რომელთა წარმომადგენლებს ხშირად არ აქვთ მოსაზრებები რუსეთის პოლიტიკაზე ან მხარს უჭერენ პუტინს და არიან რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ.

[9] Земцов Павел Андреевич, Бедрина Елена Борисовна. Пятая волна эмиграции из России как фактор адаптации. Миграционные процессы и межкультурные коммуникации в условиях глобальных вызовов (2022). https://elar.urfu.ru/bitstream/10995/108687/1/978-5-91256-542-7_1_039.pdf

[10] «Crucial border: why Georgia denies entry to a number of Russian activists and journalists» JAM News 27.06.22 https://jam-news.net/crucial-border-why-georgia-denies-entry-to-a-number-of-russian-activists-and-journalists/

[11] «По иным причинам». Россиянам отказывают во въезде в Грузию — что об этом известно, Paper Kartuli. 21.02.2023 https://paperpaper.io/po-inym-prichinam-rossiyanam-otkazyv/

[12] Как часто гражданам России отказывают в ВНЖ в Грузии – последние данные, Sputnik Грузия, 01.12.2023 https://sputnik-georgia.ru/20231201/kak-chasto-grazhdanam-rossii-otkazyvayut-v-vnzh-v-gruzii--poslednie-dannye-284648410.html

[13] «The secret life of Russians in Georgia» Eurazianet 21.06.2023, *Giorgi Lomsadze* https://eurasianet.org/the-secret-life-of-russians-in-georgia-0

[14] Kamalov, Emil, Veronika Kostenko, Ivetta Sergeeva, and Margarita Zavadskaya. 2023. "The Russian Rhizome: A Social Portrait Of New Immigrants". Re:Russia. Jan 2023. https://re-russia.net/en/review/262/

[15] Kamalov, Emil, Veronika Kostenko, Ivetta Sergeeva, and Margarita Zavadskaya. 2023. "New Russian Migrants Against the War: Political Action in Russia and Abroad". Policy Memo for Friedrich-Ebert-Stiftung. June 2023. https://library.fes.de/pdf-files/international/20458.pdf

[16] Baranova, Vlada, Chigaleichik, Ekaterina, Kuleshova, Anna, and Podolsky, Verena. 2023. "Russian migration to Armenia and Georgia in 2022: enclave economy and local employment". Caucasus Edition. Journal of conflict transformation. 2003(8). https://caucasusedition.net/russian-migration-to-armenia-and-georgia-in-2022-enclave-economy-and-local-employment/

[17] Zhou, Min. Chinatown: The socioeconomic potential of an urban enclave. Vol. 43. Temple University Press, 1992.

[18] Transparency International Georgia, 2023.

[19] Fomina, Joanna. (2021). Political Dissent and Democratic Remittances: The Activities of Russian Migrants in Europe. NY: Routledge.

[20] Kamalov, Emil, Veronika Kostenko, Ivetta Sergeeva, and Margarita Zavadskaya. 2023. "New Russian Migrants Against the War: Political Action in Russia and Abroad". Policy Memo for Friedrich-Ebert-Stiftung. June 2023. https://library.fes.de/pdf-files/international/20458.pdf

[21] აუცილებელია აღვნიშნოთ, რომ თუკი ადრე აქტივიზმის სახეობები: ენობრივი და ეთნიკური, ეკოლოგიური, ფემინისტური, ლგბტქ+ და ა.შ. სხვადასხვა ხარისხით პოზიციონირებდა, როგორც საზოგადოებრივი და არა - პოლიტიკური მოძრაობები, უკანასკნელ წლებში ეს სულ უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება ნებისმიერი ტიპის წინააღმდეგობასთან ბრძოლის გამო.

[22] Krawatzek, Félix, DeSisto, Isabelle, Soroka, George (2023). Russians in the South Caucasus: Political Attitudes and the War in Ukraine. Center for East European and

International Studies (ZOIS) Report 2/2023. https://www.zois-berlin.de/publikationen/zois-report/russians-in-the-south-caucasus-political-attitudes-and-the-war-in-ukraine

[23] «Persecution of the anti-war movement report. November 2023» OVD-Info, 29.11.2023 https://en.ovdinfo.org/persecution-anti-war-movement-report-november-2023

[24] Гайд проекта Emigration for action https://efahelpdesk.notion.site/efahelpdesk/339c3a1d92414566bb053b9dc9cb6ff1

[25] Камалов Э., Сергеева И., Завадская М., Нугуманова К., Костенко В. (Январь 2024). Полтора года спустя: прогресс и барьеры в интеграции российских эмигрантов. Аналитический отчет по третьей волне опроса проекта OutRush. outrush.io/report_january_2024

[26] Korableva E. (2023). Migrants from Russia in Georgia during the War in Ukraine: Political Performance and the "Unpredictable Border". Russian analytical digest. 301, Sept. 2023 https://css.ethz.ch/en/publications/rad.html

[27] «Как музыкант из Омска извинился за русофобскую надпись, которую написал на здании в Тбилиси» Medialeaks, 30.10.2022 https://medialeaks.ru/3010tat-str-sct-tbi-russians/